საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორისგან, კრისტინ ლაგარდისგან მივიღეთ შემოთავაზება ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე, რომელიც უკავშირდება კავკასიის, ცენტრალური აზიისა და მონღოლეთის (Caucasus, Central Asia, Mongolia, (CCAM)) შესაძლებლობების განვითარების რეგიონული ცენტრის (Regional Capacity Development Center (RCDC)) დაარსებას. ფონდის ხელმძღვანელობა რეგიონში აღნიშნული ცენტრის დაარსების ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილებას კანდიდატი ქვეყნების მიერ წარდგენილი წინადადებების შეფასების საფუძველზე მიიღებს.

გაცნობებთ, რომ აპლიკაციის გაგზავნის ვადა იწურება მიმდინარე წლის 31 მაისს. იგი მოიცავს 11 საკითხს, რომლებშიც დეტალურად უნდა აღიწეროს მასპინძელი ქვეყნის მთავრობის მიერ ცენტრის ფინანსური, ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მექანიზმები, მისი განთავსებისათვის საჭირო საოფისე ფართი, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა მომსახურების სფერო და მთავრობის მზაობა დააკმაყოფილოს სხვადასხვა იურიდიული და ტექნიკური კრიტერიუმი.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებას სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს ეროვნულ ბანკს. შემჭიდროებული ვადებიდან გამომდინარე, სასურველია შეხვედრა დაიგეგმოს მიმდინარე წლის 14 მაისს 11 საათზე საქართველოს ეროვნულ ბანკში, რათა განხილულ იქნას აპლიკაციაში მოთხოვნილი ინფორმაცია. გთხოვთ, დღესვე წარმოგვიდგინოთ სამუშაო ჯგუფის მონაწილე.

კიდევ ერთხელ გიგზავნით სააპლიკაციო ფორმასა და მოკლე ინფორმაციას ფონდის რეგიონული ცენტრების გლობალური ქსელის თაობაზე.

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე
პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 / თბილისი/ სანაპიროს 2 / ტელ: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail : info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge